

ვერა ყურულაშვილი

ბავშვის წინასასკოლო მომზადება
თამაშების გამოყენებით

თბილისი – 2018

უაკ (UDC) 372.2
ყ-911

რეცენზენტი **მიმოზა ტყებურავა**, განათლების
მეცნიერებათა დოქტორი

რედაქტორი **ომარ შუდრა**

ყურულაშვილი ვ.

ბავშვის წინასასკოლო მომზადება თამაშების გამოყენებით. თბ.
გამომცემლობა ი/მ გორა დალაქიშვილი, 2018. – 40 გვ.

ISBN 978-9941-27-955-3

ნაშრომში განხილულია ბავშვის წინასასკოლო მომზადების
ზოგიერთი საკითხი
განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის.

უაკ (UDC) 372.2
ყ-911

ვუძღვნი ჩემს ვაჟებს –

ბესოს და არსენს

მიყვარხართ არა მხოლოდ დედის
სიყვარულით, არამედ როგორც
არაჩვეულებრივი ადამიანები,
რომლებთანაც ურთიერთობა
ბედნიერებაა

დედა

შინაარსი

ავტორისაგან.....	5
სკოლისთვის მზადყოფნის პირობები	7
ფიზიოლოგიური მზადყოფნა.....	7
სკოლისთვის მზადყოფნა და თამაშები.....	9
როგორ ფიქრობს და წერს ბავშვი.....	12
ნატიფი მოტორიკა	13
ყურადღება და მისი განვითარება	16
აღქმითი შერჩევითობა	17
ყურადღების განაწილება	18
მეხსიერება	19
მეხსიერების ფორმები.....	21
თამაშები ყურადღების და მეხსიერების განვითარებისათვის	24
მსხვილი (უხეში) მოტორიკის მნიშვნელობა	33
რჩევები.....	36
ლიტერატურა.....	38

ავტორის აგან

მთელი ჩემი ცხოვრება ბავშვებთან არის დაკავშირებული. ძალზე ახალგაზრდამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დავიწყე სკოლაში მუშაობა მასწავლებლად. ყოველთვის ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ უნდა მოვექცე ჩემს მოსწავლეებს, რომ ნამდვილ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. რა მოვიმოქმედო, რომ ცოდნის მიღება მათთვის საინტერესო იყოს.

წლების განმავლობაში ვეძებდი პასუხებს კითხვებზე, რომელთაც ბავშვებთან ურთიერთობა ყოველდღიურად აყენებდა ჩემს წინაშე. შევეცადე შემესწავლა და ჩვენი რეალობისათვის მომერგო ყველა ის თეორია, თანამედროვე პედაგოგების და ფსიქოლოგების მოსაზრება, რაც ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო. გამოცდილებამ და მიღებულმა ცოდნამ დამარწმუნა, რომ ბავშვის სწავლისადმი ინტერესის გაღრმავება ადრეულ ასაკში იწყება. თუ პატარას სკოლამდე გარკვეული ჩვევები არ ჩამოუყალიბდა, სწავლა მისთვის ყოველთვის უინტერესო, ძნელი და მოსაბეზრებელი იქნება.

დღეისათვის ბავშვის განვითარების ბევრი სხვადასხვა თეორიაა, მათ შორის დომანის, მაკოტო შიჩიდის, ლევ ვიგოდსკის და ა.შ. ხშირად მშობელი იწყებს თეორიული მასალის შესწავლას და შემდეგ საკუთარ შვილზე გამოცდას. ამავე დროს, ბევრ მშობელს სურვილი აქვს მაშინვე, მყისიერად შედეგი მიიღოს და თუ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს, მაშინ იწყება ახალ-ახალი მეთოდების ძიება, რაც უფრო მეტად აბნევს მშობელს და ნეგატიურად აისახება ბავშვის სწავლის სურვილზე. ასეთ შემთხვევაში, სკოლაში სწავლის დაწყებამდე ბავშვს უკვე მობეზრებული აქვს სწავლა. ბავშვი უნდა მოვამზადოთ სკოლისათვის, მაგრამ ყველას, მშობელს, მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ სკოლამდელის ძირითადი ფუნქცია თამაშია, ბავშვს თამაშით უნდა ასწავლო.

ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვი მიეჩვიოს წესების დაცვას, ჰქონდეს მოტივაცია. ხშირად მოტივაციას გარეგანი ხასიათი აქვს, დაკავშირებულია მოსწავლის ფორმასთან, სხვა ატრიბუ-

ტებთან და არა სწავლასთან (მოსწავლეს მეგობართან ერთად სიარული უნდა სკოლაში და ა.შ.). მშობლის ამოცანაა, მომავალ პირველკლასელს სკოლის, მასწავლებლის, სწავლების მიმართ დადებითი განწყობა ჩამოუყალიბოს, მიაჩვიოს სხვებთან ერთად მუშაობას და დისციპლინას.

ბროშურა განკუთვნილია იმ მშობლებისთვის, რომელთა შვილები მომავალი პირველკლასელები არიან. წიგნის მცირე ფორმატის გამო განხილული იქნება მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, კერძოდ ფიზიოლოგიური მზადყოფნა, ყურადღების, მეხსიერების და აზროვნების განვითარება.

სკოლისათვის მზადყოფნის პირობები

ფიზიოლოგიური მზადყოფნა

ყველა მშობელი მისთვის ცნობილი კრიტერიუმების მიხედვით ცდილობს დაადგინოს, რამდენად არის მზად ბავშვი სკოლისათვის. ყურადღების ცენტრშია ინტელექტუალური განვითარება, ბავშვის მოტივაცია. ბავშვის პირველი თვეებიდანვე მშობლები ცდილობენ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (დომანი, შიჩიდა, ვიგოდსკი) ბავშვს კითხვა, მათემატიკა ასწავლონ, აღჭურვონ იგი სხვადასხვა მეცნიერების, უცხო ენის ცოდნით. არის ერთი ფაქტორი, რომელიც ცნობილია ბევრი მშობლისათვის, მაგრამ მას რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ, ეს ფაქტორი განსაზღვრავს რამდენად არის ბავშვი მზად სკოლისათვის და განაპირობებს ბავშვის წარმატებას ან წარუმატებლობას სკოლაში.

ეს არის ბავშვის ფიზიოლოგიური მზადყოფნა. ბოლო წლებში ხშირად ვლინდება ბავშვის ბიოლოგიური ასაკის და ე.წ. საპასპორტო ასაკის შეუსაბამობა. ფიზიკურად 6 – 6,5 წლის ბავშვი შეესაბამება თავის ასაკს, ხოლო ფიზიოლოგიურად, ნერვული სისტემის და ტვინის განვითარებით ჩამორჩება 0,5–1,5 წლით.

ხშირად ვამჩნევთ, რომ მომავალი პირველკლასელი პატარა ბავშვივით იქცევა, მშობლები ამჩნევენ, რომ მათ შვილს არა აქვს განვითარებული ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ ამ ასაკში ჰქონდათ. ნერვული სისტემის და ტვინის განვითარების მდგომარეობა განსაზღვრავს ბავშვის სწავლის უნარს. თუ ბავშვი ფიზიოლოგიურად ჩამორჩება თავის ასაკს, მას სწავლის პირველივე დღიდან სიძნელები

ხვდება და ვერავითარი დაძალება, ხვეწნა, ვერ აიძულებს ტვინს სრულფასოვნად იმუშაოს.

საკვირველია, მაგრამ ჯერ კიდევ საუკუნეების წინ, სხვადასხვა ხალხებმა იცოდნენ ამ ფაქტორის შესახებ და დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვის ფიზიოლოგიურ მზადყოფნას. სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვის სკოლისათვის ფიზიოლოგიურ მზადყოფნას განსხვავებული ხერხით ადგენდნენ.

ძველ საბერძნეთში სკოლისათვის მზადყოფნის კრიტერიუმი იყო ხელის თითზე ნეკის მხრიდან ცერცვისებრი ძვლის წარმოშობა. ითვლებოდა, რომ ამ ძვლის წარმოქმნა მიუთითებს ბავშვის სასკოლო მზადყოფნას, აღსანიშნავია, რომ ეს ძვალი 7 წლიდან 15 წლის ასაკამდე პერიოდში ვითარდება.

იაპონიაში და ჩინეთში ბავშვის ფიზიოლოგიური მზადყოფნის მაჩვენებელი სარძევე კბილების სრული შეცვლა იყო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ მომენტიდან ბავშვი არა მხოლოდ სწავლისთვის იყო მზად, არამედ იწყებოდა მისი სრული პასუხისმგებლობა კანონის წინაშე. უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა ბავშვის ფიზიოლოგიური მზადყოფნის ე.წ. „ფილიპინური მეთოდი“. სწავლისადმი მზადყოფნის ეს ხერხი ეფუძნება ბავშვის განვითარებისთვის. 5-6 წლის ასაკში ხდება ე. წ. „ზრდის ნახტომი“. ამ დროს იზრდება ბავშვის ხერხემალი, უგრძელდება ხელები, ფეხები და ამავე დროს თავს იჩენს ტვინის თავისებურება – აღიქვას და გადაამუშაოს ინფორმაცია. ტესტი ძალიან მარტივია, მშობელმა უნდა სთხოვოს ბავშვს ასწიოს ზევით მარჯვენა ხელი და თავზე გადატარებით მისწვდეს ხელით მარცხენა ყურს. თუ ვერ მისწვდა ე.ი. ფიზიოლოგიურად ტვინი ჯერ არ არის მზად

სწავლისათვის, მისწვდა – ტვინი მზად არის. ეს მეთოდის მეტყველებს არა მხოლოდ ხერხემლის განვითარებაზე და ხელების სიგრძეზე, არამედ გვიჩვენებს რომ ტვინის სტრუქტურები მომნიშვნელოვანია და ბავშვს შეუძლია ინფორმაციის აღქმა და გადამუშავება. „ფილიპინური ტესტი“ ზუსტად ახასიათებს ბავშვის ბიოლოგიურ ასაკს, რადგან ასახავს არა მხოლოდ ხერხემლის განვითარებას, არამედ უფრო მნიშვნელოვანს, ორგანიზმის მორფოფუნქციონალურ სიმნიშვნელობას, ნერვული სისტემის ჩამოყალიბებას. ფიზიოლოგიების და ჰიგიენისტების მიერ დამტკიცებულია, თუ ბავშვი „ზრდის ნახტომამდე“ იწყებს სწავლას, ეს უარყოფითად აისახება მის ჯანმრთელობაზე, პირველ რიგში, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. 6-7 წლის ასაკი ბავშვის ცხოვრებაში ერთ-ერთ კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს. ამ ასაკს ემთხვევა „ზრდის ნახტომი“, რის შემდეგაც ორგანიზმი ბიოლოგიურად უფრო სტაბილური, შესაბამისად, უფრო შრომისუნარიანი ხდება, ბავშვს უჩნდება შრომისუნარიანობის რეალური ფუნქციონალური შესაძლებლობა.

ბავშვის ფიზიოლოგიური განვითარება და ფიზიოლოგიური მზადყოფნა ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ მომავალი წარმატების ერთადერთი პირობა არ არის. სკოლაში სწავლის დაწყება ბავშვისათვის ახალი სოციალური როლების ათვისებას ნიშნავს. მან უნდა დაამყაროს ურთიერთობა მასწავლებლებთან, თანაკლასელებთან, სხვა კლასების მოსწავლეებთან. იწყება ცხოვრების წესის მკვეთრი ცვლა.

სკოლისადმი მზადყოფნა არის გარკვეული უნარ-ჩვევების ერთობლიობა. თუ მშობელმა ნახა, რომ რომელიმე კრიტერიუმით ბავშვი არ არის მზად სკოლისთვის, სჯობს მივცეთ მას საშუალება უკეთ მოემზადოს, დავეხმაროთ

მას მომზადებაში და მოგვიანებით შევიყვანოთ სკოლაში, რათა ავიცილოთ ბევრი ნეგატიური ფაქტორი და მივცეთ საშუალება, გახდეს წარმატებული მოსწავლე.

სკოლისათვის მზაყოფნა და თამაში

ბევრი მშობელი ფიქრობს, რომ სკოლისთვის მზადყოფნა სხვადასხვა განმავითარებელ მეცადინეობებს და დისციპლინის ჩამოყალიბებას ნიშნავს. რა თქმა უნდა, დისციპლინა და სწორი დღის რეჟიმი მნიშვნელოვანია, მაგრამ ბავშვის განვითარების, ნებისყოფის ჩამოყალიბების პირობების ყველა გამოკვლევა ცხადყოფს, რომ მიზნის მისაღწევად ყველაზე მარტივია თამაში.

სკოლამდელი ასაკის და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვისათვის მთავარი ფუნქცია თამაშია, მშობლები კი იმით არიან დაკავებულნი, რომ რაც შეიძლება მეტად დატვირთონ ბავშვი სხვადასხვა წრეებით, განმავითარებელი მეცადინეობით, უცხო ენების შესწავლით, ისე რომ ბავშვს თავისუფალი დრო არ რჩება. ნუ წავართმევთ ჩვენს ბავშვებს ბავშვობას! მისი განვითარებისათვის სავსებით საკმარისია ბავშვებთან 20-30 წუთი მეცადინეობა სხვადასხვა, თუნდაც ამ წიგნში მოცემული თამაშების გამოყენებით.

რატომ არის თამაში მნიშვნელოვანი? თამაშში ბავშვი ახორციელებს ყველა იმ ეტაპს, რომელმაც მასზე ემოციური ზეგავლენა მოახდინა, იძენს გამოცდილებას, ამავე დროს შეიძლება გათავისუფლდეს უარყოფითი ემოციებისგან, შიშისგან. თამაშშივე შეიძლება ისწავლოს ქცევის წესები, რომლებიც უფროსებისგან გადაიღო.

თამაშის დროს შეიძლება ჩამოვაცალიბოთ ისეთი წესები, რომლებიც ბავშვს არც ისე მოსწონს, მაგრამ თამაშში მათ

დაიცავს. ბავშვმა შეიძლება ითამაშოს ისეთი როლი, რომელსაც სხვა დროს არ შეასრულებდა.

ყველა ბავშვთა ფსიქოლოგი და პედაგოგი მიიჩნევს, რომ თამაში ბავშვის აღზრდის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ყველა თამაში, ძალიან მარტივიც კი, წესებს შეიცავს. წესების დაცვით კი ბავშვი ეჩვევა თავისი ქცევის გაკონტროლებას, მართვას. აქედან დასკვნა – ითამაშეთ ბავშვთან ერთად.

არ არის საჭირო ვასწავლოთ ბავშვს ყველაფერი, რაც ვიცით, კითხვა, წერა, მათემატიკა, უცხო ენები. გვხვდებიან მშობლები, რომლებიც სკოლამდელებს სრულფასოვან გაკვეთილებს უტარებენ სხვადასხვა ცენტრებში (ან ინდივიდუალურად). შედეგად, მომავალმა პირველკლასელმა იცის კითხვა, ამოცანების ამოხსნა, უცხო ენა (უმეტესად, ინგლისური), მაგრამ არ იცის თამაში, ნაკლებად აქვს განვითარებული კოორდინაცია, რადგან არ აძლევენ მოძრაობის, სირბილის საშუალებას და, როგორც წესი, უკვე არ უყვარს სკოლა.

მშობლების ამოცანაა განუვითაროს ბავშვს საჭირო უნარჩვევები და მოამზადოს ბავშვი, რათა მას სკოლაში სასწავლებლად, სამუშაოდ წასვლა უნდოდეს. ყველამ ვიცით, რომ სწავლა არის შრომა და არც ისე ადვილი. არ შეიძლება ყველა გაკვეთილი ყოველთვის საინტერესო იყოს, ხშირად, თანამდროვე მეთოდების და მოთხოვნების მიუხედავად, ბავშვმა უნდა შეასრულოს არა ის, რაც მისთვის საინტერესოა, არამედ მასწავლებლის ინსტრუქციები. ყოველივე ამას ბავშვი თამაშში სწავლობს.

კარგია, თუ მომავალ პირველკლასელებს შეუძენთ ისეთ თამაშებს, სადაც აუცილებელია წესების დაცვა (ფაზლები, შაში, თამაშები მესხიერებაზე და ყურადღებაზე). მშობლის

ამოცანაა მომავალმა პირველკლასელმა ითამაშოს მეგობრებთან, თანატოლებთან, და-ძმებთან, უფროსებთან და მას ჩამოვუყალიბოთ შინაგანი რწმენა, რომ სიტყვა „საჭიროა“ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „მინდა“.

როგორ ფიქრობს და წერს ბავშვი

ბავშვის ფსიქოლოგიურ განვითარებაში საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტორი, ეს არის დომინანტური ხელის გამოვლენა. სასურველია, მშობელი დააკვირდეს და გამოავლინოს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბავშვი რომელ ხელს უფრო ხშირად იყენებს. არის რამდენიმე ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ დომინანტური ხელის გამოვლენაში:

- „ნაპოლეონის პოზა“;
სთხოვეთ ბავშვს გადააჯვარედინოს ხელები მკერდზე. წამყვანი ხელი ზევიდან იქნება.
- მიზანში ტყორცნა;
დახატეთ ქალაქზე სამიზნე და სთხოვეთ ბავშვს სამიზნეს ცენტრს ნემსით ან ფანქრით ერთი მეტრიდან ესროლოს. დააკვირდით, რომელ ხელში დაიჭერს სატყორცნს.

როგორც წესი, 5 წლის ასაკისათვის უკვე შესაძლებელია დომინანტური ხელის გამოვლენა. ბავშვების უმრავლესობისათვის დომინანტური ხელი მარჯვენაა, თუმცა გვხვდება ცაციებიც.

თუ ბავშვს მარჯვენა ხელი აქვს დომინანტური, ემოცია და წარმოსახვაზე მარცხენა ნახევარსფეროა პასუხისმგებელი, ხოლო მათემატიკურ და ლოგიკურ ოპერაციებზე – მარ-

ჯვენა. ცაციებს კი – პირიქით, აქედან გამომდინარე, არ არის სასურველი, მშობელი ცაციის გადაჩვევას ეცადოს.

ზევით საუბარი იყო რამდენიმე ფაქტორზე, რომელიც გასათვალისწინებელია ბავშვის სკოლისათვის მზადყოფნისათვის. ფიზიოლოგიურ ფაქტორებთან ერთად ნახსენებია ყურადღება, მეხსიერება, კრეატიული აზროვნება.

ნატიფი მოტორიკა

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნატიფი მოტორიკის განვითარება. ნატიფი მოტორიკის განვითარება უშუალოდ ტვინის ნახევარსფეროების განვითარებასთან არის დაკავშირებული. რადგან წიგნი განკუთვნილია მშობლებისათვის და ასევე შეიძლება გამოადგეს ბავშვთა განმავითარებელ ცენტრებში მომუშავე სპეციალისტებს, ნაკლებად არის განხილული თეორიები, სხვადასხვა ფსიქოლოგთა მოსაზრება და მეტად – პრაქტიკული რჩევები, თამაშები, რჩევები, რომლებიც ავტორის მიერ წლების განმავლობაში არის გამოცდილი მოსწავლეებზე, საკუთარი შეცდომების ანალიზის შედეგად.

სულ რამდენიმე სიტყვით – რა არის ნატიფი მოტორიკა.

ნატიფი მოტორიკა არის ხელის მტევნის და თითების ზუსტ მოძრაობისკენ მიმართული კოორდინირებული მოქმედების ერთობლიობა. მოძრაობები, ნებისმიერი ფესტიდან ადამიანის კალიგრაფიამდე, ნატიფ მოტორიკას მიეკუთვნება.

საბავშვო ბაღში არსებული განმავითარებელი პროგრამის მიუხედავად სკოლაში (სწავლის დაწყებისას), მოსწავლეთა უმეტესობა წერისას სირთულეებს აწყდება. ისინი მარ-

ტივად გადასალახნია, თუ ბავშვს ნავარჯიშევი, ძლიერი თითები აქვს, ამას ხელს უწყობს ნატიფი მოტორიკის განვითარება.

ნატიფი მოტორიკის განვითარებისათვის ყველაზე სასარგებლოა თითების მაქსიმალური გამოყენებით რაიმე საგნის დაჭერა და წინააღმდეგობების მიუხედავად, ამ საგნის გადანაცვლება, შეცვლა. თამაშისათვის გამოდგება ბევრი საგანი: ბამბა, რეზინის ბურთები და პატარა სათამაშოები, პლასტილინი, ლილვები და მსგავსი საგნები. თამაშის მოფიქრება ნატიფი მოტორიკის განვითარებისათვის ადვილია, მშობელს შეუძლია გამოიყენოს ის თამაშები, რომლებიც წიგნშია მოცემული და თვითონ გადაასხვავფეროს ისინი. მთავარი პრინციპი, რომელიც უნდა დაიცვათ ამ შემთხვევაში, არის თითების მაქსიმალური დატვირთვა და მოძრაობათა კოორდინირება.

თამაში 1. მცირე საგნების გადალაგება ერთი მოცულობიდან მეორეში. შეიძლება გამოიყენოთ პლასტმასის ჯამი და ფართოყელიანი პლასტიკატის ბოთლი. ჯამში მოათავსეთ ფერად-ფერადი მცირე საგნები (მაგ. ლილვები, ბოთლის სახურავები). სთხოვეთ ბავშვს ჩაყაროს ეს საგნები ბოთლში.

თამაში 2. სთხოვეთ ბავშვს პლასტელინზე დაამაგროს კოქტეილის მილვები და მათზე ჩამოაცვას მუყაოსაგან გამოჭრილი რგოლები, ასაკთან და ბავშვის განვითარებასთან ერთად შეიძლება გაართულოთ დავალება – ჩამოაცვას მაკარონის წვრილი ღერები.

თამაში 3. მიეცით ბავშვს პლასტიკატის ბოთლი და ფერადი მცირე საგნები (ბურთულები, ფერადი ნაჭრები, მავთულის ნაჭრები), საგნები უნდა იყოს დრეკადი და

ისეთი ზომის, რომ ისინი ბოთლში ბავშვმა ძალის გამოყენებით, დაჭერით მოათავსოს.

თამაში 4. პატარა ზომის ქსოვილის ნაჭრებზე მაკრატლით გააკეთეთ ჭრილები, მიეცით ბავშვს ღილები და სთხოვეთ ღილები გააძვრინოს ჭრილებში.

თამაში 5. ტუალეტის ქალაღის რულონები დაჭერით პატარა ცილინდრებად, შეიძლება ეს ცილინდრები ბავშვთან ერთად გააფერადოთ კიდეც. მიეცით ბავშვს თოკი და სთხოვეთ ცილინდრები თოკზე ჩამოაცვას.

თამაში 6. ბავშვებს უყვართ ნყალთნ თამაში. ჩაასხით ნყალი ერთ მოცულობაში და სთხოვეთ ბავშვს კოვზით, შპრიცით (ასაკის მიხედვით) გადაასხას ნყალი მეორე ცარიელ მოცულობაში.

თამაში 7. მიეცით ბავშვს ბამბის ბურთულები, პინცეტი და ცარიელი ჯამი. ბავშვმა პინცეტით უნდა აილოს ბამბის ბურთულები და მოათავსოს ჯამში.

თამაში 8. მიეცით ბავშვს კოქტიელის ფერადი ნკირები და სანური, სთხოვეთ ბავშვს კოქტიელის ნკირები გაუყაროს სანურის ნახვრეტებში.

თამაში 9. ფერადი მუყაოსაგან გამოჭერით რგოლები და სთხოვეთ ბავშვს შესაფერისი ფერის რგოლებზე მიამაგროს იმავე ფერის საკანცელარიო საჭერები.

თამაში 10. ნატიფი მოტორიკის განვითრება ჰაერზე სეირნობის დროსაც შეიძლება. ფერადი ცარცით ბავშვს დაახაზინეთ წრეები და თქვენი ბრძანების მიხედვით სწრაფად დადგეს იმ ფერის წრეში, რომელსაც თქვენ ეტყვი. შემდეგ შეიძლება შეენაცვლოთ და დავალება მოგცეთ ბავშვმა, რომელ წრეში დადგებით თქვენ. ეს თამაში ბავშვს კოორდინაციასაც უვითარებს ერთდროულად, ბავშვი ფერებსაც სწავლობს.

თამაში 11. ჩაყარეთ ერთად ჯამში ლობიოს ხმელი მარცვლები, წინიბურა, შეიძლება აგრეთვე ბრინჯი ან წვრილი მაკარონი. მიეცით რამდენიმე ცარიელი ჯამი და სთხოვეთ განაცალკევოს ჯამში მოთავსებული საგნები.

მშობლებისათვის ალბათ, უკვე ნათელია რა სახის თამაში ავითარებს ნატიფ მოტორიკას, მოცემული მაგალითების მიხედვით შეგიძლიათ შესთავაზოთ ბავშვს მრავალფეროვანი თამაშები.

ნატიფ მოტორიკას კარგად ავითარებს აგრეთვე ხატვა, ძერწვა.

ყურადღება და მისი განვითარება

შემდეგი ფაქტორი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია სკოლისათვის, ეს არის ყურადღება. დღეს ყურადღების განვითარების პრობლემა ანუხებს როგორც მშობლებს, ასევე მასწავლებლებს. პრაქტიკულად ყველა პედაგოგი აღნიშნავს მოსწავლეების უყურადღებობას, ამოცანის ან დავალების პირობაზე კონცენტრირების უნარის დაქვეითებას. ხშირად მოსწავლე წყნარად ზის გაკვეთილზე, თითქოს ისმენს და დაფასაც უყურებს, მაგრამ მასწავლებლის კითხვაზე პასუხს ვერ სცემს და არა იმიტომ, რომ არ იცის, არამედ იმიტომ, რომ არ ისმენდა.

სასკოლო სიძნელეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი უყურადღებობაა. არ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად ეს პრობლემა თავისთავად მოიხსნება. სამწუხაროდ, ყურადღება არ არის დამოკიდებული ასაკზე და თავისით არ ვითარდება. უნდა ვიცოდეთ როგორ უნდა განუვითაროთ ბავშვს ყურადღება და, რაც მთავარია, გამოვიყენოთ პრაქტიკაში.

სხვადასხვა ფსიქოლოგიურ სახელმძღვანელოში ყურადღების განსხვავებული განმარტებებია მოცემული. ალბათ, ყველაზე ზუსტი შემდეგი განმარტებაა: „ყურადღება არის რაიმე საგანზე, ქმედებასა და მოვლენაზე ცნობიერების მიმართულება და კონცენტრირება“. ცნობიერების კონცენტრირება არის თვისება, არ მიაქციოს ყურადღება სხვა ხელის შემშლელ ფაქტორებს. აღსანიშნავია, რომ ყურადღება არ არის განყენებული ცნება და ვლინდება სხვა ფსიქოლოგიურ პროცესებთან ერთად. ჩვენ ყურადღებით ვისმენთ, ყურადღებით ვწერთ, ყურადღებით ვკითხულობთ, ყურადღებით ვმუშაობთ. ყურადღება აუცილებელია ნებისმიერი შემოქმედების ან ქმედების წარმატებით შესასრულებლად.

ყურადღება არის კოგნიტური პროცესი, რომელიც გულისხმობს ცნობიერების ფოკუსირებას ხელმისაწვდომი პერცეპტული (აღქმითი) ინფორმაციის რომელიმე ნაწილზე.

აღქმითი შერჩევითობა/სელექციურობა

როგორ ირჩევს ადამიანი საგანს, რომელიც მისი ყურადღების ცენტრში ექცევა? განარჩევენ მიზნით მართულ სელექციას და სტიმულით გამონვეულ ყურადღების მიპყრობას. ორივე პროცესი განსაზღვრავს იმას, თუ რატომ ირჩევენ ადამიანები შემომავალი სენსორული ინფორმაციის რაღაც ნაწილს შემდგომი გადამუშავებისთვის. მიზნით მართული სელექცია ადამიანის მიზნებიდან გამომდინარეა, ხოლო სტიმულით გამონვეული ყურადღების მიპყრობა მაშინ ხდება, როდესაც სტიმულების ნიშნები (ანუ საგნები) ავტომატურად იპყრობენ ყურადღებას, ადამიანის კერძო მიზნებისგან დამოუკიდებლად. მაგალითად,

თუ ქუჩას მიუყვებით და აქეთ-იქით იყურებით ნითელი კარის ძებნაში, ეს მიზნით მართული სელექცია იქნება, ხოლო თუ შუქნიშნის ნითელ ფერს მწვანე ცვლის და ამ დროს თქვენ, საჭესთან მჯდომი, შუქნიშანზე ხართ გაჩერებული და გუშინდელ საღამოზე ფიქრობთ, შუქნიშნის ცვლილება განსაკუთრებული კონცენტრაციის გარეშეც მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. ეს იქნება სტიმულით გამონვეული ყურადღების მიპყრობა.

ყურადღების განაწილება

როგორც ამერიკელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ჯეიმსი ფიქრობდა, დამკვირვებელს შეუძლია სელექციურად/შერჩევითად მიაქციოს ყურადღება მისთვის საინტერესო შემავალ ინფორმაციას. თუმცა საინტერესოა, კონკრეტულ სიტუაციაში ადამიანის ყურადღების მოცულობა ნამდვილად ერთი მოვლენით შემოიფარგლება თუ არა. სხვა სიტყვებით, რამდენად შესაძლებელია ყურადღების განაწილება ანუ ერთდროულად ერთზე მეტი საქმის კეთება. ეჭვგარეშეა, რომ ადამიანებს, ასე თუ ისე, შეუძლიათ ერთდროულად ორი რთული ამოცანის შესრულება, თუმცა, რეალურად მნიშვნელოვანია, რომ ყურადღების განაწილების უნარი იმ ორი საქმის თავისებურებებზეა დამოკიდებული.

მეხსიერება

მეხსიერება ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის უნარია. ის მიეკუთვნება როგორც ბიოლოგიურ, ისე კოგნიტურ (შემეცნებით) პროცესებს. ადამიანის ნერვული სისტემა რეცეპტორების მეშვეობით იღებს ინფორმაციას და თავის ტვინის სხვადასხვა განყოფილების ნეირონების მეშვეობით ინახავს გარკვეული დროის განმავლობაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ეძებს შენახულ ინფორმაციას და იყენებს მოთხოვნის შესაბამისად.

მეხსიერების ფუნქცია არის გამოცდილების შექმნა, წარსულში აღქმულისა და განცდილის შენახვა, მომავალ ქცევაში მისი გათვალისწინება და ჩართვა. მეხსიერება სხვა ფსიქიკური პროცესებისგან გამოირჩევა თავისი სირთულითა და მოცულობით, ფორმებისა და მექანიზმების სიმრავლით, ფართო დიაპაზონით. მეხსიერება მოიცავს როგორც ანმეოს, ისე წარსულსა და მომავალს. ის, რისი დამახსოვრებაც უნდა მოხდეს, ჯერ ანმეოში აღიქმება, შემდეგ ხდება აღქმულის შენახვა. აღქმული ინფორმაცია ფსიქიკაში ინახება ზოგჯერ უცვლელად, ზოგჯერ კი გარკვეულ ცვლილებებს განიცდის და ამდენად, წარსულს განეკუთვნება. რადგან წარსულში მიღებული ცოდნა მომავალში გამოყენებისთვის გვჭირდება, მეხსიერება არა მხოლოდ წარსულის შენახვას, არამედ მომავალში მისი გამოყენების შესაძლებლობასაც გულისხმობს.

მეხსიერება წარმოდგენილია სამი ეტაპის ანუ ფაზის სახით, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი ფსიქოლოგიური სტრუქტურითა და კონკრეტული ამოცანით. ეს ეტაპებია: ინფორმაციის აღბეჭდვა (კოდირება), შენახვა და აღდგენა.

კოდირება. მეხსიერება ინყება შთაბეჭდილების მიღებით, ფსიქიკურ სისტემაში ინფორმაციის შემოსვლით. დამახსოვრება არსებითად კოდირება ანუ მიღებული შთაბეჭდილების (ინფორმაციის) გარკვეულ ფსიქიკურ ფორმაში მოქცევა და მნიშვნურ სისტემაში შეტანა, ანალოგიურად, როცა კომპიუტერის პროცესორში ინფორმაცია შეგვყავს, ვახდენთ მის კოდირებას. იმას, თუ როგორ ხდება შთაბეჭდილებათა აღბეჭდვა, რა პირობები უწყობს ან უშლის ხელს მათ ფიქსაციას, სწავლობს მეხსიერების ფსიქოლოგია.

შენახვა – მეხსიერების პროცესის შემდეგი ფაზაა. ამ დროს კოდირებული ინფორმაცია ფიქსირდება გარკვეულ ფსიქიკურ და ნეირონულ სტრუქტურებში. შენახვა, აღბეჭდილი ფსიქიკური მასალის აქტიური გადამუშავების პროცესია და არ გულისხმობს მხოლოდ მეხსიერების საცავებში ინფორმაციის არქივაციას ან კონსერვაციას. იგი მოიცავს ხატების, სიგნალებისა და შინაარსების გაშიფვრას, დახარისხებას, ორგანიზაციას, სხვა მასალასთან მიმართებაში მოყვანას, აქცენტების გადანაწილებას და სხვ.

აღდგენა – მეხსიერების პროცესის დამასრულებელი ეტაპია, ადრე შეძენილი ცოდნა-ჩვევების, სხვადასხვა მასალის, საჭირო ინფორმაციის მეხსიერებიდან ამოღების პროცესია. არსებობს აღდგენის განზრახვით აღდგენა, როდესაც სუბიექტი სპეციალურად, მიზანდასახულად იგონებს რამეს. აღდგენის ამ სახეობას ეწოდება მოგონება. მეხსიერების ფსიქოლოგიაში იცნობენ ასევე აღდგენის არაცნობიერ, უნებლიე ფორმებსაც. ამ შემთხვევაში სუბიექტი ყოველგვარი სპეციალური განზრახვის გარეშე, უნებლიედ აღადგენს გარკვეულ ინფორმაციას. წარმოდ-

გენის ან აზრის სპონტანურ და აკვიატებულ ამოსვლას ცნობიერებაში პერსევერაცია ეწოდება. ზოგადად, აღდგენის წარმატებულობა ორ მთავარ გარემოებაზეა დამოკიდებული: იმაზე, თუ რამდენად ღრმა და ხარისხიანია შენახული ინფორმაციის გადამუშავება და თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს თვით აღდგენა, ანუ საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და მეხსიერებიდან ამოტანის პროცესი.

მეხსიერების ფორმები

მეხსიერების მრავალსადავნიანი სისტემა სამი კომპონენტისაგან შედგება: სენსორული, ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერება.

სენსორული მეხსიერება. ფსიქიკაში ინფორმაციის შესვლა ხდება სენსორული გზით ანუ შეგრძნების ორგანოებით, აღიბეჭდება სენსორული რეგისტრის დონეზე. სენსორული რეგისტრი არის ალქმიდან მეხსიერებაში ინფორმაციის გადასვლის პირველი ეტაპი, ფსიქიკაში ასახულის მეხსიერებაში შეჩერების უმარტივესი ფორმა, რომლის ხანგრძლივობაც წამის მეასედებით იზომება. სენსორულ რეგისტრში შედის და ძალიან მცირე ხნით რჩება გამლიზიანებელთა ბევრად მეტი რაოდენობა, ვიდრე სუბიექტი ცნობიერად აღრიცხავს. ჩვეულებრივ პირობებში, ადამიანს 4–5 მარტივი შთაბეჭდილების დასახელების შემდეგ, სხვა მიღებული ინფორმაცია ავიწყდება, რადგან მასალის სრული სახით შენარჩუნების დრო ძალიან მცირეა – სენსორულ რეგისტრში მასალის შენარჩუნება დაახლოებით 0.5 წამის განმავლობაში ხდება.

სენსორული მეხსიერება არ ახდენს მასში მოცემული შინა-არსის გადამუშავებას, იმის გარჩევას, რა არის საჭირო და რა – არა. მეხსიერების ამ ფორმისთვის დამახასიათებელია სტიმულისა და მისი გამოსახულების სრული შესატყვისობა, ჭარბი ინფორმაციის არსებობა და არასელექტიურობა. თუ სენსორულ მეხსიერებაში აღბეჭდილი ინფორმაციის რაღაც ნაწილი მთელი კოგნიტური სისტემის ყურადღების ობიექტი ხდება, ის შედარებით ხანგრძლივი დროით იქნება შენარჩუნებული.

ხანმოკლე მეხსიერება. ხანმოკლე მეხსიერება ინფორმაციის მნემური გადამუშავების მეორე ეტაპს წარმოადგენს. მასში სენსორული მეხსიერებიდან გადადის ის შინაარსი, რომელზეც მოხდა ყურადღების კონცენტრაცია. ხანმოკლე მეხსიერება ქმნის მიმდინარე მოქმედების განხორციელების საშუალებას, ამიტომ მას სხვაგვარად ოპერატიული მეხსიერება ეწოდება. მეხსიერების ამ ფორმის მახასიათებელია მოკლევადიანობის მაჩვენებელი.

ხანმოკლე მეხსიერებაში შემონახვის დრო 20-30 წამით განისაზღვრება (თუ არ ხდება მისი განმეორება). შეზღუდულია ხანმოკლე მეხსიერების მოცულობაც. მოზრდილ ადამიანს შეუძლია აღადგინოს დაახლოებით ხუთიდან ცხრა ერთეულამდე. კოდირების თვალსაზრისით, მეხსიერების ამ ფორმაში ინფორმაცია სმენითი მოდალობის (ანუ აკუსტიკურ) ფორმაშია მოცემული. ხანმოკლე მეხსიერების ფუნქციაა ხანგრძლივ მეხსიერებაში შესატანი მასალის ფიქსირება.

ხანმოკლე მეხსიერების განხორციელების აუცილებელი პირობებია: მასალის ერთჯერადი აღქმა და მასალის დაუყოვნებლივი აღდგენა დროებითი ინტერვალით. მასალის აღქმასა და აღდგენას შორის დროითი ინტერვალი თით-

ქმის არ უნდა არსებობდეს (30 წამს არ უნდა აღემატებოდეს).

ხანგრძლივი მეხსიერება ინფორმაციის გადამუშავების ბოლო ეტაპს წარმოადგენს. მისი მოცულობა და შენახვის დრო პრაქტიკულად განუსაზღვრელია; აქ დაცული ბევრი შთაბეჭდილება მთელი ცხოვრების განმავლობაში ინახება. ის მოიცავს ყოველგვარი სახის გამოცდილებას, სუბიექტის მთელ ცოდნას სამყაროსა და საკუთრი თავის შესახებ. აქ ინახება მთელი ცხოვრების მანძილზე მიღებული ინფორმაცია – სახელები, თარიღები, მოვლენები, ადამიანთა სახეები (სუნიც კი).

ხანგრძლივი მეხსიერება გამოირჩევა მაღალი სტაბილურობით. იგი ხასიათდება არა მხოლოდ რეპროდუქციულობით, არამედ გენერაციულობითაც. შინაარსის აღდგენისას მხოლოდ წარსული ფიქსირებული კვალის უცვლელი სახით განახლება კი არ ხდება, არამედ გასახსენებელის კონსტრუირებაც. გახსენებისას გათვალისწინებულია როგორც ანმეოს აქტიუალური მოთხოვნები და სიტუაციური თავისებურებები, ასევე უკვე არსებული ინფორმაციის კონტექსტი. ხანგრძლივი მეხსიერება ამოცანის გადანყვევების აქტიური პროცესია და არა მხოლოდ ინფორმაციის პასიური აღდგენა.

მოგონებაზე დიდ გავლენას ახდენს ადრე ჩამოყალიბებული განწყობები, რწმენები, მოლოდინები. თავდაპირველი შთაბეჭდილება განსხვავებულ სახეს იღებს – ადამიანი მომხდარის ასლს არ იხსენებს. იგი გარკვეულად ქმნის ახალ შთაბეჭდილებას, რაც შეიძლება შეცდომის ან ილუზიის წყარო გახდეს (ამიტომაც მემუარები სუბიექტური). ხანგრძლივ მეხსიერებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს გავება – ადამიანები უფრო კარგად იმახსოვრებენ გააზრე-

ბულ მასალას. მისთვის არსებითია მასალის აღქმასა და აღდგენას შორის ფარული, ე.წ. ლატენტური პერიოდის არსებობა. არ არის საკმარისი ბავშვს ცოდნა მისცე, სკოლაში რომ კარგად ისწავლოს, მთავარია სწავლა ვასწავლოთ. ეს არის ყველაზე ძნელი, მაგრამ სკოლისათვის მომზადების აუცილებელი პირობა, რათა ბავშვმა კარგად ისწავლოს, აუცილებელია ყურადღება და მეხსიერება. ბევრი ფსიქოლოგი თვლის, რომ დაბალი მოსწრების ერთ-ერთი მიზეზი არამდგრადი ყურადღებაა და იგი იწვევს დამახსოვრების და მიზანმიმართული აზროვნების უნარის დარღვევას. სკოლანდელი ასაკის ბავშვებს ჯერ არ აქვთ განვითარებული ყურადღება, აქედან გამომდინარე, ბავშვს უჭირს გაკვეთილზე ყოფნა.

თამაშები ყურადღების და მეხსიერების განვითარებისათვის

ყურადღების და მეხსიერების განვითარება ერთმანეთთან კავშირშია, ამიტომ შემოთავაზებული თამაშები ავითარებს როგორც ყურადღებას, ასევე მეხსიერებას. ზოგიერთი თამაში შეიძლება მშობლისათვის ძალზე მარტივი აღმოჩნდეს, მაგრამ „ყველაფერი გენიალური მარტივია“. მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ სკოლამდელისათვის ძირითადი ქცევა თამაშია, ამიტომ არ არის საჭირო ყველაფრის გართულება. უნდა შევეცადოთ თამაშით გავაუმჯობესოთ მეხსიერება და ყურადღება. აქედან გამომდინარე, მომავალში ბავშვი კარგად ისწავლის, თუ მას განუვითარებთ ყურადღებას, მეხსიერებას, ნატიფ მოტოროკას. უფრო მეტიც, ეს გადამწყვეტი ფაქტორია მომავალში მისი კარიერისათვის.

თამაში 1. „რა შეიცვალა?“. ეს თამაში ბავშვების საყვარელი თამაშია. ვთამაშობთ სახლში, ეზოში, ქუჩაში. თამაშის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. შეიძლება მაგიდაზე დავდოთ რამდენიმე ნახატი ან სათამაშო. შევთავაზოთ ბავშვს, შეხედოს მცირე დროის განმავლობაში და დადგეს ზურგით, შეუცვალეთ საგნებს ადგილი ან ერთი-ორი საგანი სხვა საგნით შეცვალეთ. ამის შემდეგ ბავშვი უცქერის მაგიდას და უნდა მიხვდეს, რა შეიცვალა. პატარა ასაკის ბავშვებისათვის საგნების რაოდენობა დიდი არ უნდა იყოს. შესაძლებელია საგნების რაოდენობა ეტაპობრივად გაიზარდოს და მომავალი პირველკლასელებისათვის შეიძლება 10-მდე გაიზარდოს. თამაშისთვის შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო სათამაშო, არამედ ნებისმიერი საყოფაცხოვრებო საგანი. მაგალითად, რა შეიცვალა საგნების განლაგებაში თაროზე, სამზარეულოს მაგიდაზე. პატარა ბავშვისათვის ცვლილებები აუცილებლად ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, სკოლამდელებისათვის კი შეიძლება არც ისე შესამჩნევი იყოს (მაგალითად, წიგნის თაროზე ორი წიგნის განლაგების შეცვლა).

სახლის გარეთ, ეზოში თამაშისათვის შეიძლება ნებისმიერი სხვა საგნები გამოვიყენოთ: კენჭები, ფოთლები. თამაში შეიძლება ყოველდღიური გახდეს. მაგალითად, ყოველ დილით სახლიდან გასვლისას შეიძლება შეეჯიბროთ ბავშვს, ვინ უფრო მეტ ცვლილებას იპოვის ქუჩაში. ბავშვი იძულებულია დაიმახსოვროს ის, რაც ნახა საღამოს, რომ შეადაროს იმას, რაც დაინახა დილით. ასე ხდება მხედველობითი მეხსიერების განვითარება, ამასთან ერთად ვითარდება ყურადღებაც.

თამაში 2 საჭიროა ნატიფი მოტორიკის განვითარებისათვის. მოცემულ თამაშში საგნების განცალკევებაა საჭი-

რო. ამ თამაშისას ნატიფ მოტორიკასთან ერთად ვითარდება ყურადღება. ბავშვს უყალიბდება ინსტრუქციის დამახსოვრების და შესრულების უნარი. ხშირად გვესმის, რომ ადრე ბავშვებს არ სჭირდებოდათ ყურადღების განვითარება და კარგი მეხსიერება და ყურადღება ჰქონდათ. იმ პერიოდში, რომელზეც საუბრობენ, ყველა ის ქმედება, რომელიც ახლა თამაშის სახით უნდა შევთვაზოთ ბავშვს, ყოველდღიური ურთიერთობის ნაწილი იყო. ბავშვები მშობლებთან, ბებიებთან არჩევდნენ ბურღულეულს, აცხობდნენ ნამცხვრებს და ა.შ. ეს ყოველდღიური საქმიანობა მნიშვნელოვნად ავითარებდა ნატიფ მოტორიკას, ყურადღებას.

თამაში 3. ბავშვს უნდა ვაჩვენოთ ორი ნახატი, რომლებიც ერთმანეთისაგან რამდენიმე დეტალით განსხვავდება. შემდეგ, ნახატები უნდა დავმალოთ ან გადავაბრუნოთ. ბავშვმა უნდა გაიხსენოს, ნახატებს შორის რა განსხვავებაა. შეიძლება თამაში უფრო გავართულოთ, ნახატები ვაჩვენოთ არა ერთდროულად, არამედ ცალ-ცალკე. დავალების შესრულება ამ შემთხვევაში უფრო რთულია, რადგან ბავშვმა უნდა გაიხსენოს, პირველ ნახატზე რა არის გამოსახული.

თამაში 4. ქალაქზე უნდა დავხატოთ მარტივი ფიგურის კონტური, მაგალითად, მზე, სახლი, ყვავილი, პეპელა. მიეცით ბავშვს რაიმე მსხვილი თესლი (ლობიო, გოგრა, მზესუმზირა). ბავშვმა მოცემული კონტური ააწყოს თესლების ან სხვა რაიმე მცირე ზომის საგნების (მძივები, კენჭები) დახმარებით. უნდა ავუხსნათ, რომ თესლები ან კენჭები ზუსტად ხაზების გასწვრივ უნდა განლაგდეს. შეიძლება დავალება ასეც მიეცეს – კონტურის განსხვავებული ნაწილები სხვადასხვა თესლებით გააწყონ. მაგალითად, სახლის

კონტურის შემთხვევაში – სახურავი გოგრის, დანაჩენი – ლობიოს თესლებით და ა.შ. შემდეგ, ბავშვმა ყველა თესლი უნდა ჩაანყოს შესაბამის ჭურჭელში. დავალების შესრულებისას შეიძლება სთხოვოთ ბავშვს, დავალების ნაწილი მეორე ხელით შეასრულოს. ამ შემთხვევაში, ვრთავთ მეორე ნახვარსფეროს, რაც მნიშვნელოვანია ბავშვის გონებრივი შესაძლებლობების განვითარებისათვის.

თამაში 5. ეს თამაში სასურველია ითამაშოთ სუფთა ჰაერზე, ეზოში, ბაღში. შეიძლება მონაწილეობდეს ერთი ბავშვი, მაგრამ უკეთესია, თუ ჩართავთ სხვა ბავშვებსაც. თამაშისთვის საჭიროა ბურთი. ნამყვანი (მშობელი ან სხვა მოზრდილი) ესვრის ბურთს ბავშვს და ამბობს ერთ-ერთ სიტყვას სამიდან: მინა, ცა, წყალი. ბავშვებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი ცხოველი, თევზი ან ფრინველი.

თამაში 6. ბავშვს უნდა წაუკითხოთ მცირე ზომის ტექსტი. ის უსმენს და იმახსოვრებს სიტყვების რაოდენობას, რომლებშიც წინასწარ განსაზღვრული არის ასო. მაგალითად, ტექსტი შეიძლება შედგებოდეს სულ ხუთი წინადადებიდან და ბავშვმა უნდა დაიმახსოვროს სიტყვები, რომლებშიც ასო „დ“ არის.

შეიძლება გამოვიყენოთ თამაშის უფრო რთული ვარიანტი, როდესაც ბავშვმა კითხვა უკვე იცის. დავალება პირველ ეტაპზე შეიძლება იყოს შემდეგი: კითხვისას აღნიშნოს რომელიმე წინასწარ განსაზღვრული ასო. მაგალითად, კითხვის დროს წრეში ჩასვას ყველა „ბ“ (ან ნებისმიერი სხვა) ასო. დროთა განმავლობაში, შეიძლება დავალებების უფრო გართულება. მაგალითად, ერთდროულად წრეში ჩასვას ასო „ბ“ და გადახაზოს „ნ“.

თამაში 7. ბავშვს ეძლევა დავალება დაითვალოს 20-მდე (ან 30-მდე, 50-მდე). იმ პირობით, რომ ყველა იმ რიცხვის

ნაცვლად, რომელიც „3“-ით მთავრდება, ტაში უნდა დაუკრას. შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს დავალება. ეს თამაში კარგად შეიძლება გამოვიყენოთ შემდგომში, გამრავლების და გაყოფის სწავლის დროს (ტაში დაუკრათ ყველა იმ რიცხვის ნაცვლად, რომელიც იყოფა 2-ზე ,3-ზე, 5-ზე).

თამაში 8. ბავშვის ყურადღების განვითარებისათვის შეუცვლელია გერმანელი ფსიქოთერაპევტის, პროფესორ ვალტერ შულტეს ცხრილები. შულტეს ცხრილების გამოყენება ავითარებს ძალიან ბევრ უნარს. ვითარდება ყურადღების მდგრადობა, მოცულობა, მეხსიერება და ა.შ. საწყის ეტაპზე შეიძლება ავიღოთ შულტეს ცხრილი, რომელშიც რიცხვების რაოდენობა უდრის 9-ს. შემდგომში რიცხვების რაოდენობა შეიძლება გავზარდოთ. რიცხვების ოპტიმალური რაოდენობა, რომელსაც გვთავაზობენ, 25-ის ტოლია. თუმცა, საწყის ეტაპზე ვადგენთ ცხრილებს, სადაც 9, 12 ან 20 რიცხვია. შულტეს ცხრილი წარმოადგენს კვადრატს, რომელიც არის დაყოფილი იმდენ მცირე ოთხკუთხედად, რამდენი რიცხვიც იწერება. მისი შედგენა მშობელს თვითონ შეუძლია, რიცხვები კი განსხვავებული შრიფტით, ან ფერით ჩაწეროს. ცხრილების შედგენის დროს აუცილებელი პირობაა, რომ რიცხვების ერთი და იგივე რაოდენობისათვის შევადგინოთ რამდენიმე ცხრილი, რომლებშიც რიცხვების ჩაწერა ხდება ნებისმიერი თანმიმდევრობით, ანუ, ერთმანეთის მომდევნო რიცხვები ერთმანეთისაგან მოშორებით იწერება. ცხრილის გამოყენება შემდეგნაირად ხდება. ბავშვი თვალთ ეძებს რიცხვებს თანმიმდევრულად და ასახელებს მათ. არ შეიძლება თითის გაყოლება, კალმის და სხვ. გამოყენება. შულტეს ცხრილების შედგენისას გამიზნულად ვტოვებ რამდენიმე რი-

ცხვს. ამ შემთხვევაში დავალება იცვლება: ბავშვმა გამოტოვებული რიცხვები უნდა დაასახელოს.

თამაში 9. მხედველობითი მეხსიერების და ყურადღების განვითარებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი თამაში: ყველა ბავშვს აქვს სათამაშო დომინო ან ლოტო, სადაც ქვებზე გამოსახულია სხვადასხვა საგნები. ბავშვს 1-3 წამის განმავლობაში ვაჩვენებთ ქვას, ლოტოს ნახატს და ვთხოვთ გვიპასუხოს რამდენი საგანი არის დახატული. თუ საგნების რაოდენობა 3-4 ან მეტია, სავარაუდოა, რომ ბავშვი არასწორად გვიპასუხებს. პატარამ უნდა დათვალოს თითოეული საგანი ცალ-ცალკე, ხშირად თითსაც იშველიებს და თითოეულ საგანს თითით აჩვენებს. უფროსი, რომელიც ბავშვთან ერთად თამაშობს, მას შემდეგ ინსტრუქციას აძლევს: „შეეცადე ისე იფიქრო, თითქოს სურათი გადაუღე, შემდეგ გაიხსენე სურათი და მასზე დათვალე საგნები“. შემდეგ ერთად უნდა შეამოწმოთ, გადათვალოთ საგნები ერთად.

თამაში 10. „მე ვიცი ხუთი...“. საკმაოდ კარგი, ბავშვებისთვის საინტერესო დინამიური თამაშია, ავითარებს სხარტ აზროვნებას, ხანგრძლივ მეხსიერებას, კოორდინაციას. თამაში საინტერესოა, თუ რამდენიმე ბავშვი თამაშობს. თამაშის წამყვანი და ყველა მონაწილე დგება წრეში, შემდეგ (მაგალითისთვის) წამყვანი ამბობს: „მე ვიცი ბიჭის ხუთი სახელი“ და ესვრის ბურთს მოთამაშეს, რომელმაც უნდა ეს სახელები ჩამოთვალოს, შემდეგ ასევე ესვრის ბურთს სხვა მოთამაშეს. შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი საგანი ან მოვლენა (მაგალითად, გოგონების სახელები, ფრინველები, ცხოველები, ფერები, სათამაშოები, უფრო მოზრდილ ბავშვებთან – ქალაქები, მდინარეები, ქვეყნები და

ა.შ.). იმარჯვებს ის ბავშვი, რომელიც ყველაზე სწრაფად და უშეცდომოდ პასუხობს.

თამაში 11. „პირამიდა“ – სათამაშო ღერძზე სხვადასხვა ფერის და ზომის რგოლებით, აანყვეთ განსხვავებულად. შემდეგ დაშალეთ და სთხოვეთ თვითონ ბავშვებმა თავიდან ააწყოს. შეიძლება გამოვჭრათ მუყაოსგან ფერადი, სხვადასხვა ზომის ზოლები. აანყეთ „პირამიდა“ ქალაქზე და ისევ სთხოვთ ბავშვს ააწყოს მსგავსი. თამაში ავითარებს მხედველობით მეხსიერებას, ყურადღებას, ქალაქზე ორიენტაციის უნარს.

არსებობს უამრავი თამაში და ხერხი ბავშვის ყურადღების და მეხსიერების გასავითარებლად. სამწუხაროდ, შეუძლებელია ერთ, მცირე მოცულობის წიგნში ყველა მეთოდზე საუბარი, მაგრამ გვინდა მშობლების ყურადღება ერთ საინტერესო ხერხზე შევაჩეროთ. საუბარია გრაფიკულ კარნახზე. მისი შესრულება სკოლამდელსაც შეუძლია, თუმცა მისთვის დავალება უფრო მარტივი უნდა იყოს.

წიგნში განხილულია სკოლისათვის მომზადების რამდენიმე მნიშვნელოვანი მეთოდი. ბავშვის სკოლისათვის მომზადება მნიშვნელოვანია მისი მომავალი წარმატებისათვის. ამასთან, თუ მოსწავლეს განუვითარდება შინაგანი მოტივაცია, არ ჩაუკლავენ სწავლის სურვილს, მშობლის ხელშეწყობით ბავშვისათვის სკოლაში სწავლა ყოველთვის საინტერესო იქნება. თუ მშობელი ითამაშებს ბავშვთან ისეთ თამაშებს, რომლებიც ავითარებენ ნატიფ მოტორიკას, ყურადღებას, მეხსიერებას და ამ თამაშებს სისტემატიური ხასიათი იქნება, შედეგიც არ დააყოვნებს.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია შემდეგი: ყურადღება ძალზე არამდგრადი თვისებაა, არის უამრავი ფაქტი, რომლებმაც

შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს ყურადღების განვითარებაზე. უყურადღებობას შეიძლება ბევრი მიზეზი ჰქონდეს, მათ შორის, ფიზიოლოგიური.

დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი ნერვული სისტემის თავისებურებას. დაბადებიდან თანდაყოლილი თვისებები გავლენას ახდენენ ყურადღების ყველა თვისებებზე. მდგრადი ნერვული სისტემის მქონე ბავშვებს უფრო მდგრადი ყურადღება აქვთ, ინერტული და სუსტი უმაღლესი ნერვული სისტემის შემთხვევაში ყურადღებაც არამდგრადია, ცუდად ხდება ყურადღების გადართვა. ამ შემთხვევაში უაზროა ბავშვის დასჯა უყურადღებობის გამო და საჭიროა სისტემატური მუშაობა შედეგზე გასვლისათვის. სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებს, როგორც წესი, ყურადღება და მეხსიერება დაქვეითებული აქვთ, ასეთი ბავშვისათვის აუცილებელია დღის რეჟიმის მკაცრი დაცვა, ზედმეტი დატვირთვისგან განთავისუფლება, დასვენება.

ბავშვისთვის საჭირო პირობების დაცვის და განმავითარებელი თამაშების გამოყენების შემთხვევაში, ბავშვის ყურადღება და მეხსიერება აუცილებლად გაუმჯობესდება.

სკოლამდელი და დანყებითი კლასის მოსწავლის ყურადღება შეიძლება არასაკმარისად იყოს განვითარებული ასაკობრივი ფსიქიკური განვითარების თავისებურებების გამო. ამ ასაკში ყურადღების მოცულობა მცირეა, იგი არამდგრადია და ცუდად ნაწილდება. ამის მიზეზი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების სისუსტეა. სპეციალური განმავითარებელი თამაშების და სავარჯიშოების გამოყენებით ხდება ყურადღების და მეხსიერების განვითარება. ფსიქოლოგების აზრით, უმცროსი სასკოლო ასაკი ყველაზე ხელსაყრელია ბავშვის ყურადღების და მეხსიერების მიზანმიმართული განვითარებისათვის.

ამავე დროს, ყველა მშობელმა იცის, თუ ბავშვი თავის-თავის საინტერესო საქმიანობით არის დაკავებული, ის ძალზე მობილიზებულია, ყურადღება კონცენტრირებული აქვს. გაკვეთილებზე იგივე ბავშვი შეიძლება ძალიან უყურადღებო იყოს, ვერ ისმენს, ვერ ჩერდება. ამ შემთხვევაში საჭიროა მოტივაციის განვითარება და ამაღლება. მშობლებმა უნდა გამოიყენონ სხვა მოტივები, მაგალითად, პასუხისმგებლობის გრძნობა, შექების, ნახალისების და ა.შ. უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლამდელ ასაკში და დაწყებით კლასებში ბავშვს უფრო მეტად მდგრადი მოტივაცია აქვს განვითარებული.

ბევრი მშობელი თვლის, რომ სკოლამდელ ასაკში და დაწყებით კლასებში ბავშვი დაკავებული უნდა იყოს. ბაღში სიარულის დროს პატარას შეიძლება საღამო ყოველდღე დაკავებული ჰქონდეს: დადის ცურვაზე ან სპორტის რომელიმე სხვა სახეობაზე, სწავლობს უცხო ენებს, ხატვას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. უყურადღებო მშობლები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ ბალიდან ბავშვის გამოყვანის შემდეგ, თუ ის მყუდრო გარემოში მოხვდა, მაშინვე იძინებს. ბაღში გადაღლილი ბავშვი საღამოს დამატებით არ უნდა იყოს დატვირთული.

ხშირად ბავშვები გვიან წვებიან. დღის რეჟიმის და კვების რეჟიმის დარღვევა ნეგატიურად მოქმედებს ნერვული სისტემის მდგრადობაზე. ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინფორმაციული გადატვირთვა ხელს უწყობს უყურადღებობის განვითარებას. ბავშვის ტვინის შრომისუნარიანობა 10-15 წუთია. ეს ნიშნავს, რომ 10-20 წუთი მეცადინეობის შემდეგ აუცილებელია ბავშვი დაასვენოთ, სასურველია ამ დროს იგი ფიზიკურ აქტივობაზე გადავროთ.

მსხვილი, უხეში მოტორიკის მნიშვნელობა

ნიგნში შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ბავშვის სკოლისადმი მომზადების ძირითად ასპექტებზე, როგორცაა, ინტელექტუალური მომზადება, ნატიფი მოტორიკის განვითარება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მნიშვნელოვანია ზოგადი ფსიქომოტორული განვითარება, რაც ბავშვის სასწავლო უნარების და სრულყოფილი სწავლების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. სკოლამდელ ასაკში შეუძლებელია მოძრაობის განვითარების კოგნიტური ფუნქციების (აზროვნება, ყურადღება, აღქმა) განვითარებებს შორის მკვეთრი ზღვრის გავლება. მშობლების და პედაგოგთა უმრავლესობა ყურადღებას ნატიფი მოტორიკის განვითარებაზე ამახვილებს. ჩვენც შევეცადეთ არ გამოგვრჩენოდა ეს მნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს საერთო, მსხვილი მოტორიკა, საუბედუროდ, ამაზე უფროსების უმრავლესობა არ ფიქრობს. მსხვილი მოტორიკა არის ის საძირკველი, რომელზეც ხდება სხვა ფსიქოლოგიური ფუნქციების დაშენება.

რაც უფრო მოძრავია ბავშვი, რაც უფრო კოორდინირებულია მისი მოძრაობა, მით მეტი საფუძველი გვაქვს, ნორმალურ ფსიქიკურ განვითარებაზე ვისაუბროთ. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ბავშვი სპორტით აქტიურად იყოს დაკავებული, მაგრამ ნიშნავს რომ, რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით მეტი ისეირნოს, ირბინოს, ითამაშოს მოძრავი თამაშები, იცეკვოს და ა.შ. სკოლაში შესვლის წინ ბავშვს უნდა შეეძლოს ნებისმიერი მოძრაობის ან მოძრაობათა სერიის გამეორება. მას უნდა შეეძლოს ხელით ბურთის წაღება, უკეთესია, თუ ამის გაკეთება ხელების მონაცვლეობით შეუძლია, ბურთის აგდება – დაჭერა. მან უნდა იცოდეს და თამაშობდეს ისეთ თამაშებს, როგორც არის

ლახტი, წრეში ბურთი, ფეხბურთის და ფრენბურთის ნებისმიერი ელემენტები. 6-7 წლის ბავშვი კარგად გრძნობს რიტმს და შეუძლია უფროსთან ერთად მოძრაობების კოორდინირებული გამეორება.

თუ ბავშვის ფსიქომოტორული განვითარება ბუნებრივად, ყველა მიმართულებით არ მიმდინარეობს, მას შემდგომში აუცილებლად პრობლემები შეექმნება.

მაგალითად, მშობლები აქცევენ ყურადღებას ნატიფი მოტორიკის განვითარებას და ნაკლებად – მოძრავ თამაშებს, ამ შემთხვევაში დიდია ალბათობა, რომ წერისას ბავშვი გამოიყენებს არა მარტო ხელის მტევანს, არამედ მხრის სახსრებს, დანერს „მთელი ხელით“. ამ შემთხვევაში მეტენერგიას დახარჯავს და უფრო მალე დაიღლება.

თუ ბავშვი არ არის შერჩეული ბურთით თამაშს, მისთვის ძნელი იქნება წერითი უნარების განვითარება, იგი ადვილად „დაკარგავს“ ხაზებს წერისა და კითხვის დროს, რადგან ორივე შემთხვევაში აუცილებელია თვალის და მოძრაობის კოორდინაცია: ბავშვს უნდა შეეძლოს მზერა ადევნოს საგანს.

ბოლო პერიოდში ფსიქომოტორული განვითარების, კონკრეტულად, მსხვილი (უხეში) მოტორიკის განვითარების პრობლემები სულ უფრო იჩენს თავს. ბავშვები წერენ ძალიან მსხვილი ასოებით. ვერ აყოლებენ ხაზებს, მათემატიკის სწავლის დროს ვერ ათავსებენ ციფრებს უჯრებში. ამას ძალზე მარტივი ახსნა აქვს: ადრე ბავშვები სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში ბევრ დროს ატარებდნენ ეზოში, სეირნობდნენ, თამაშობდნენ დაჭერობანას და სხვა მოძრავ თამაშებს. თანამედროვე ბავშვებს ზოგიერთი თამაში არც კი გაუგიათ, ისინი დროის უმეტეს ნაწილს სახლში, კომპიუტერის ან ტელევიზორის წინ ატარებენ.

რით შეიძლება მშობელი დაეხმაროს ბავშვს? პირველ რიგში ჩვევად აქციეთ ბავშვის რამდენიმე საათით სუფთა ჰაერზე გატარება, გაიხსენეთ ყველა ის თამაში, რომელიც ასე გიყვარდათ ბავშვობაში და ასწავლეთ თქვენს ბავშვებს, ითამაშეთ ბურთით, ლახტით, ითამაშეთ „დამალობანა“ და „დაჭერობანა“.

დაბოლოს...

ბავშვის სკოლისათვის მზადყოფნის, მისი სწორი ფსიქომოტორული განვითარების დასადგენად ყურადღება მიაქციეთ შემდეგ ფაქტორებს. ფსიქომოტორული განვითარება დარღვეულია თუ:

- ბავშვი ადვილად იღლება;
- დარღვეული აქვს მოძრაობის კოორდინირება (ყველაფერი ხელიდან უვარდება, ხშირად ეცემა);
- დაბნეულია;
- ეშლება მარჯვენა-მარცხენა, ზევით-ქვევით მიმართულებები.

რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც ბავშვი ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად მზად არის სკოლისათვის, მაგრამ ყველაფერი კარგია ზომიერად.

ბავშვის სკოლისათვის მომზადება არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს კვირაში 3-4-ჯერ სამ საათიან მეცადინეობებს, მით უმეტეს, თუ მას დამატებით საშინაო დავალებასაც აძლევენ. ეს პირდაპირი გზაა ბავშვის ნერვული სისტემის გადატვირთვის და შემდგომში ფსიქოლოგიური პრობლემებისაკენ. სასურველია, ბავშვმა წინასწარ გაიცნოს მომავალი მასწავლებლები და მათი შეხვედრები კვირაში 1-2-ჯერ (ერთი საათით) შემოიფარგლოს.

ბავშვის სკოლისათვის მზადყოფნა უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის სურვილს, ისწავლოს პირველ რიგში, მშობელი უნდა შეეცადოს, ემოციურად დადებითად განაწყოს, ბავშვს სკოლაში წასვლის სურვილი ჰქონდეს და შემდეგ, თამაშების დახმარებით შეეცადოს ხელი შეუწყოს ბავშვის ფსიქომოტორულ განვითარებას.

დაბოლოს, გახსოვდეთ, რომ სკოლამდელის ძირითადი საქმიანობა თამაშია, მან ყველა უნარი თამაშით უნდა შეიძინოს.

რჩევები

მომავალი პირველკლასელების მშობლებს

- მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს ჩამოყალიბებული ჰქონდეს შემეცნების სურვილი. დაწყებით კლასში ბავშვებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიქრის სურვილი და უნარი, ყველაზე მეტად უჭირთ.
- ბავშვს უნდა ჩამოუყალიბოთ დისციპლინა, პასუხისმგებლობის გრძნობა, ირგვლივ მყოფების მიმართ პატივისცემა, ყურადღებით მოსმენის და კითხვაზე პასუხის გაცემის უნარი. ამ უნარების ჩამოყალიბებას ყველაზე კარგად ხელს უწყობს რაიმე მუდმივი დავალება, მაგალითად: პურის ყიდვა, ოთახის დალაგება, ყვავილების, ცხოველების მოვლა, ჭურჭლის ალაგება და რეცხვა და ა.შ.
- ბავშვს უნდა ჰქონდეს დღის რეჟიმი, სადაც სახლის საქმეებში დახმარებისათვის 30-40 წუთი უნდა იყოს განკუთვნილი, ხოლო 1 საათი თავისუფალ დროს უნდა დაეთმოს. დღის რეჟიმში აგრეთვე უნდა გაით-

ვალისწინით რომელმე წრეში ან სექციაში სიარული. ამავე დროს, მშობლებმა უნდა იზრუნონ, რომ ბავშვი ზედმეტად არ გადაიტვირთოს. ოპტიმალურია კვირაში ორი-სამი მეცადინეობა.

- აუცილებელია აკონტროლოთ მომავალი პირველკლასელის კომპიუტერთან თამაშის და ტელევიზორის ცქერის დრო. კომპიუტერთან მუშაობის ხანგრძლივობა დღეში 5-10 წუთი უნდა იყოს, ხოლო ტელეგადაცემის ცქერის მაქსიმალური დრო კვირაში არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს..
- აუცილებელია წინასწარ ვიზრუნოთ ბავშვის ხელეების გავარჯიშებაზე. ნატიფი მოტორიკის განვითარებისთვის სასარგებლოა ხატვა, ძერწვა, გამოჭრა, მოზაიკის და ფაზლების აწყობა, წვრილი საგნებით თამაში.
- ბავშვს ბევრი უკითხეთ, ესაუბრეთ დიქციისთვის. კარგია, თუ ბავშვი მოყვება ზღაპრებს, წაიკითხავს ლექსებს, ნახატების მიხედვით შეადგენს მოთხრობას.
- სასურველია, ბავშვმა იცოდეს თვლა 10-მდე და 10-დან 1-მდე, შეეძლოს რიცხვების შედარება.
- ბავშვს გაუადვილდება სკოლის ცხოვრებაში ადაპტაცია, თუ ის იქნება ზრდილობიანი, თავდაჯერებული, დამჯერი.
- ნებისმიერი კოლექტივი ინფექციის გავრცელების წყაროა, სასურველია ბავშვი სკოლაში შესვლამდე გააკაჟოთ, გაუძლიეროთ იმუნიტეტი.
- სკოლის რეჟიმთან შეგუება საკმაოდ რთული პროცესია. სასურველია ზაფხულშივე დაიწყოს ბავშვის რეჟიმთან შეგუება (დილით ადრე ადგომა და დროული დაძინება და სხვ.).

ლიტერატურა

1. თ. გოგიჩაიშვილი. „განვითარების ფსიქოლოგია“ (სასკოლო ასაკი), თბ., „უნივერსიტეტი“, 2005 წ.
 2. თ. გოგიჩაიშვილი. „მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია“, თბ., 2001 წ.
 3. ვ. ყურულაშვილი, ბავშვის აღზრდის პირველი ნაბიჯები (ელექტრ. წიგნი), თბ., 2013.
 4. სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის ორგანიზაცია სკოლამდელი დანესებულების ასაკობრივ ჯგუფებში (მეთოდ. რეკომენდაციები). – თბ., 2000.
 5. სკოლამდელი პედაგოგიკა. – თბ., განათლება, 1987.
 6. შ.ლ. მონტესკიე „კანონთა გონი“, წ. 4., აღზრდის კანონები (თარგმანი ფრანგულიდან), თბ., 1994 წ.
 7. О.Н. Громова, Т.А. Прокопенко. «Игры-забавы по развитию мелкой моторики», М., Изд-во «Гном и Д», 2001
 8. Ибука М. «После трех уже поздно» (перевод с японского). М., 1992
 9. Л.А. Венгер, В.С. Мусина. «Психология», М., 1998
 10. Е.О. Смирнова. «Детская психология», М., Изд. «Кнорусь», 2013
 11. Г.А. Уруктаева. «Практикум по психологии дошкольника». М., Изд-во «Академия», 2012
- ინტერნეტ-რესურსები:**
12. <http://razvitie-malysha.com>
 13. <http://rebenkoved.ru>
 14. <http://mastcavlebeli.ge> (ინტერნეტ-ჟურნალი)

ნიგნზე მუშაობაში დახმარებისათვის ავტორი მადლობას უხდის ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ნიგნის რედაქტორს ომარ შუდრას, განათლების მეცნიერებათა დოქტორს, რეცენზენტს მიმოზა ტყებუჩავას, სკოლა „დეას“ პედაგოგებს ლუსია ჯოლოგუას და ნინო კაზარიანს.

ვერა ყურულაშვილი

**ბავშვის წინასასკოლო მომზადება
თამაშების გამოყენებით**

რედაქტორი ომარ შუდრა

სტილისტ-რედაქტორი თამთა კაპანაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა კარინა წივნივაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.04.2018

ტირაჟი 200 ეგზ.

გამომცემლობა ი/მ გოჩა დალაქიშვილი

ვერა ყურულაშვილი, ჯერ კიდევ როგორც ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტი, „მცირე აკადემიის“ (მოსწავლეთა პირველი სკოლა-ბანაკი, ქ. ქუთაისი, 1978 წ.) ჩამოყალიბების უშუალო მონაწილეა (ჯგუფის უფროსი). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის 138-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლად, მე-13 სკოლის დირექტორად.

იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მენტორი, რუსულენოვან პედაგოგთა საბჭოს თავმჯდომარე. ამჟამად შპს „დეას“ სკოლის დირექტორი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტია.

არის რამდენიმე გამოქვეყნებული მეთოდური შრომისა და ელექტრონული წიგნის „ბავშვის აღზრდის პირველი ნაბიჯები“, თბ., 2013 წ., ავტორი.

ჰყავს ორი შვილი და შვიდი შვილიშვილი.